ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/43 CPV 71900000

(მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად)

ქ. თბილისი 10 აპრილი 2017 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად"), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „დავითი" (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის, დავით ტყემალაძის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს №1 სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორის, მედ. აკად. დოქტორის დავით ხვედელიანის წერილი კანცელარიის ნომერი № 740 27.03.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 თსსუ №1 სტომატოლოგიურ კლინიკაში არსებული რენტგენოლოგიური დანადგარის შემოწმება და მასზე მომუშავე პერსონალის (ექიმი- რენტგენოლოგი, რენტგენოლაბორანტი) დოზიმეტრული კონტროლის ჯამური მონაცემების დაფიქსირება, ასევე კაბინეტის სტაციონალური დოზიმეტრია.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1 მომსახურების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 340 (სამასორმოცი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ განხორციელდება ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.1.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

5.2.3. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს №1 სტომატოლოგიური კლინიკა.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	შპს „დავითი"
ვაჟა ფშაველას გამზ.№33	ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. #117
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 202258957
თსსუ №1 სტომ. კლინიკა	სს საქართველოს ბანკი, კოდი BAGAGE22
მის: დ. უზნაძის ქ.№2	ა/ა GE80 BG0000 000 156 323 600
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	
ა/ა GE24NB 0330100200165022	

თსსუ-ს კანცლერი	**შპს „დავითი"-ს დირექტორი**
ზურაბ ორჯონიკიძე	**დავით ტყემალაძე**
_____	_____